პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 182 (9958) | სამშაბათი, 3 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის სიტყვა (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ფინეთის სეიმის დელეგაცია (მე-2 გვერდი).

დარბაზობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარესთან და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარესთან ფინეთის სეიმის დელეგაციის პატივსაცემად (მე-2 გვერდი).

დარბაზობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (მე-2 გვერდი).

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში (მე-3 გვერდი).

თამარ აბაკელიას ნამუშევართა გამოფენაზე (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო თემაზე. — ჩინეთში ხალხური დემოკრატიის განვითარების ახალი ეტაპი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება — ყველა კოლმეურნეობას, მფს-სა და საბჭოთა მეურნეობას

არის დღეები, რომლებიც სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში, როგორც მშვენიერი, სასიხარულო, შთამაგონებელი. ასეთი იყო გუშინდელი დღეც — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის დღე. ამ საზეიმო აქტზე შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობის ათეულ ათასობით მოწინავე, მუშები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეები, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. გამოფენის გახსნაზე ჩამოვიდა მრავალი უცხოელი სტუმარი.

პირველსავე წუთებში, როცა გაიხსნა პავილიონების კარები და ადამიანთა ნაკადი მოედო გამოფენის დარბაზებს, გაიგონებდით, რა სიამაყით ამბობდნენ ექსკურსანტები: „ჩვენი გამოფენა". ამ სიტყვებში თვითეული დიდ და ღრმა აზრს აქსოვდა. „ჩვენსას" უწოდებდა გამოფენას ისიც, ვინც უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო გამოფენაზე, ვის გამოცდილებასაც გვიჩვენებენ მისი სტენდები, ისიც, ვისაც ჯერ არ მოუპოვებია ასეთი უფლება, მაგრამ გამოფენის დახმარებით მტკიცედ აქვს გადწყვეტილი მოიპოვოს იგი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ასახავს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებას სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში. იგი ცხადყოფს საკოლმეურნეო წყობილების ძალასა და ძლიერებას, მის უსაზღვრო შესაძლებლობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისათვის. გამოფენა ციფრებით, ფაქტებითა და დოკუმენტებით ცხადყოფს, სოციალისტური ინდუსტრიის ბაზაზე როგორ იზრდებოდა და ამრავლდა თავის წარმატებებს სოციალისტური სოფლის მეურნეობა, როგორ განმტკიცდა და მძლავრ ძალად გაიზარდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის უძლეველი კავშირი. უდიდესი ყურადღებით ათვალიერებენ მნახველები მოკავშირე რესპუბლიკების პავილიონებს, რომლებიც განასახიერებენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეურნეობისა და კულტურის აყვავებას, მათს სამარადისო და ურღვევ მეგობრობას.

პროპაგანდას უწევს რა საბჭოთა სოფლის მოწინავე ადამიანების მიღწევებს, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მძლავრი აღმავლობის გზას ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ეს არის გამოფენის, როგორც სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი დაჩქარებული განვითარებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ორგანიზატორის, უდიდესი მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა შეიმუშავეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა. პარტიამ დასახა და პრაქტიკულად ახორციელებს ამოცანას: მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი დონე, რომელიც შესაძლებელს გახდის უახლოეს ორ-სამ წელიწადში მთლიანად დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სასურსათო პროდუქტებზე და უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით მსუბუქი და კვების მრეწველობა. ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა მოსავლიანობის გადიდებითა და ყამირი და ნასვენი მიწებისათვისებით მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულის წარმოება. პარტია გვასწავლის, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სოფლის მეურნეობის, კერძოდ მისი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის, როგორიც მეცხოველეობაა, წარმატებით განვითარების საფუძველია.

რა შესაძლებლობანი და რეზერვები აქვს ჩვენს ქვეყანას დასახული ამოცანის გადასაჭრელად? გამოფენის 169 ათასი მონაწილის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჩვენი შესაძლებლობანი უსაზღვროა, ჩვენი რეზერვები დაუშრეტელია. ყოველ ოლქში, ყოველ რაიონში გამოფენის მონაწილენი შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მოსავლიანობის გადიდებაში. ყუბანში კორენოვსკის რაიონი ყოველ ჰექტარზე იღებს 21,8 ცენტნერ მარცვლეულს, უკრაინაში ბაშტანის რაიონი ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს იღებს. ჩელიაბინსკის ოლქის ვერხნეურალსკის რაიონმა 1953 წელს 60 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე თითქმის 20 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი აიღო.

შეიძლება ბევრი ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ ციმბირის, ყაზახეთის, ცენტრალური, ცენტრალურ-შავნიადაგიანი და სხვა ოლქების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკიდან. თავისთავად იგულისხმება, რომ დასახელებული რაიონების გამოცდილებაში ისეთი არაფერია, რაც მიუწვდომელი იყოს სხვებისათვის. მაშასადამე, თუ გულდასმით შევისწავლით და ფართოდ გამოვიყენებთ მოწინავე კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მეთოდებს, შეიძლება ძალიან მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად გავზარდოთ მინდვრების მოსავლიანობა.

რა შესანიშნავ მიღწევებს უჩვენებენ გამოფენაზე მეცხოველეობის ოსტატები! ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ომსკში", რომელსაც 500 ძროხა ჰყავს, თვითეული ძროხა ფაქტიურად იწველის 5.485 კილოგრამ რძეს. განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფენ პროდუქციის დიდი მასის მიღებას ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობას „ლენინე პოლიანის", რომლის მიღწევები ფართოდ არის ნაჩვენები გამოფენაზე, 100 ჰექტარ ნახნავზე, მდელოსა და საძოვარზე 29 ძროხა ჰყავს. მეურნეობამ მიიღო 1.303 ცენტნერი რძე და მისი თვითეული ძროხის საშუალო წველადობა უდრის 5.169 კილოგრამს. აი შესანიშნავი მაგალითი, რომელსაც უნდა მიბაძოს ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ!

რით უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობა „ლენინე პოლიანი" პირუტყვის ასეთ დიდ პროდუქტიულობას? უწინარეს ყოვლისა პირუტყვის კვებისა და მოვლა-შენახვისათვის ზრუნვით. საბჭოთა მეურნეობა უხვად ამზადებს საკვებს, განსაკუთრებით ისეთს, როგორიც არის სილოსი, ძირხვენები. განა სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ჯეროვნად განტკიცდეს საკვები ბაზა? რა თქმა უნდა არის. მაშასადამე, არის აგრეთვე ყველა მონაცემი, რომ გაორკეცდეს, გასამეცდეს რძის წარმოება.

როგორ მოვკიდოთ ხელი მინდვრების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას? რით დავიწყოთ? ამ საარსებო კითხვებზე ექსკურსანტები პასუხს ნახავენ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების შესწავლით.

ხალხი სამართლიანად უწოდებს გამოფენას მოწინავე გამოცდილების სკოლას. ეს მოითხოვს გამოფენის მუშაობის ისე მოწყობას, რომ თვითეულმა ექსკურსანტმა, რომელიც გამოფენას დაათვალიერებს, შეძლოს დეტალურად შეისწავლოს მუშაობის მოწინავე ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენება შეიძლება მისი რაიონის პირობებში. საჭიროა, რომ ექსკურსანტებს შესაძლებლობა ექნეთ შეხვდნენ თვით გამოფენის მონაწილეებს, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, მათთან ერთად განიხილონ საინტერესო საკითხები. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ექსკურსიების ხელმძღვანელებს. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანები, რომლებიც მათ უსმენენ, ჩამოსული არიან არა სასეირნოდ, არა დასასვენებლად, არამედ სასწავლებლად ისეთ შესანიშნავ სკოლაში, როგორიც არის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ახლა გამოფენაზე მუშაობს ექსკურსანტთა პირველი დიდი ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონი. ძალიან საჭიროა, რომ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წარმომადგენლებმა გონივრულად გამოიყენონ გამოფენაზე ყოფნის თვითეული საათი.

გამოფენის დათვალიერება და მისი მონაწილეების გამოცდილების შესწავლა საქმის მხოლოდ ნაწილია. მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბრუნებულმა ექსკურსანტებმა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მთელ მასასთან ერთად ნამდვილად მოჰკიდონ ხელი მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვას წარმოებაში.

საჭიროა, რომ თავის რაიონში დაბრუნების შემდეგ ექსკურსანტები შეხვდნენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომლებმაც ისინი გაგზავნეს, უამბონ მათ ყველაფერი, რაც გამოფენაზე ნახეს და რაც საჭიროდ მიაჩნიათ გამოიყენონ თავიანთ კოლმეურნეობებში. სასარგებლო იქნება ასეთ კრებებზე დაისახოს გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას დაესწრო საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი წარმომადგენელი. მათ თვალნათლივ დაინახეს, რომ საბჭოთა ხალხის მეცადინეობა მომართულია მშვიდობიანი მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისაკენ. გამოფენაზე უცხოელი სტუმრების ყოფნა ხელს შეუწყობს კულტურული და სამეურნეო ურთიერთობის გაძლიერებას სსრ კავშირსა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიხსნა! ვუსურვოთ მის კოლექტივს და ექსკურსანტთა მრავალათასიან არმიას წარმატებით მუშაობა, გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ზედმიწევნით შესწავლა და ყველგან გავრცელება.

„პრავდის" 2/VIII მოსკოვი.

გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. და ცვლავ, ისევე როგორც თხუთმეტი წლის წინათ, როცა პირველად გაიხსნა მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების შესანიშნავი საგანძურის კარები, აქ დიდი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოვიდა ათეულ-ათასობით ადამიანი.

მაგრამ 1954 წლის გამოფენა არა ჰგავს წინანდელ გამოფენას. ახალი დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა. სოციალისტურმა ინდუსტრიამ სოფლის მეურნეობა შეაიარაღა და კვლავაც სულ უფრო მეტი მასშტაბით აიარაღებს უხვი ტექნიკით, რომლის გამოყენებაც ზევრად ადიდებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას და განუზომლად ამსუბუქებს შრომას.

გამოფენა ფართოდ ასახავს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ზრდასა და მიღწევებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების წარმატებებს. იგი არის მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა შესანიშნავი სკოლა. ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის პრაქტიკაში გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართო დანერგვა ხელს შეუწყობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებათა უფრო მალე და უკეთ შესრულებას.

გამოფენა გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების 25 წლისთავზე. ის უდიდესი ცვლილებანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მოხდა ამ მეოთხედ საუკუნის მანძილზე, ასახულია პავილიონებში, საექსპონატო ნაკვეთებზე, მეცხოველეობის სანიმუშო ფერმებში.

1954 წლის გამოფენის მონაწილეთა შორის გამოჩნდნენ ბევრი ახალი სასოფლო-სამეურნეო პროფესიის წარმომადგენლები, რომლებსაც ომამდელი გამოფენა არ იცნობდა, — შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და სელის კომბაინების, ბამბის ასაღები მანქანების მძღოლები, მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაკები, ხარრიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა მძლავრი იარაღების მემანქანეები, კოლმეურნეები და მტს-ების მუშაკები, რომლებმაც აითვისეს რამდენიმე პროფესია — ტრაქტორისტის, კომბაინერის, ზეინკლის, ხარატის, მონტიორისა და სხვა პროფესიები.

მტს-ებში შეიქმნა მექანიზატორთა მუდმივი კადრები — ორნახევარ მილიონამდე კაცი, — რომლებიც წარმატებით ეუფლებიან უხვ ტექნიკას.

ახლანდელ გამოფენაზე მოვიდა ბევრი ტრაქტორისტი და კომბაინერი, მემინდვრე და მეცხოველე, რომლებმაც შეიძინეს გამოცდილება, რასაც უხვად გაუზიარებენ ყველა მსურველს. ხოლო მსურველნი მილიონობით არის. ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა ასეთი მისწრაფება მუშობის საუკეთესო ნიმუშების შესწავლისადმი, როგორიც ახლაა.

გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მილიონობით მშრომელი. ამ პატივის ღირსი გახდნენ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის. შემოქმედებითმა აზრმა და გაბედულმა შემართებამ უზრუნველყო მათთვის საწარმოო წარმატებანი, რომლებმაც მიანიჭეს უფლება გამხდარიყვნენ სოფლის მეურნეობის მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერების მონაწილენი. ახლა ხომ მოთხოვნები გაცილებით უფრო დიდი გახდა, ვიდრე ომამდე იყო. საჭირო იყო უფრო უხვი მოსავლის მოყვანა, ვიდრე წინათ, და გაცილებით დიდ ფართობზე. მნიშვნელოვნად გადიდდა მოთხოვნები მეცხოველეებისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებისადმიც, მაგრამ ბევრმა მონაწილემ ამ, გადიდებულ მაჩვენებლებსაც გადააჭარბა.

სიხარულით შედიოდნენ ქალაქ-ბალში, საუცხოო სასახლეთა ქალაქში მიწათმოქმედების სახელგანთქმული ოსტატები, მღელვარებით ათვალიერებდნენ მას. რამდენად უფრო ვრცელი და მორთული გახდა იგი წინანდელ გამოფენასთან შედარებით. რამდენი ახალი პავილიონი გაჩნდა აქ, როგორ გარდაქმნა, გაფართოვდა წინანდელი პავილიონები.

დიდებულად აღმართულა მთავარი პავილიონის შენობა. შემდეგ კოლმეურნეობათა მოედანზე განლაგებულა თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის პავილიონები. ჭეშმარიტად მშვენიერია მათი ნაგებობანი, რომლებითაც გამოხატულია საბჭოთა კავშირის ხალხთა არქიტექტურის მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვანება, ხალხური თვითმყოფადი შემოქმედების საუცხოო მოტივები. ხელახლა აგებულია, გაფართოებულია უზბეკეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის, კარელია-ფინეთის სსრ, წყალთა მეურნეობისა და მთელი რიგი სხვა პავილიონები. გაჩნდა ახალი პავილიონებიც — რუსეთის ფედერაციის, მიწათმოქმედების, საბჭოთა მეურნეობების პავილიონები, აგრეთვე გამოფენის ახალი განყოფილებანი — მტს-ის ტიპური კარმიდამო და საველე ბანაკი, კულტურის საკოლმეურნეო სახლი, სასოფლო საბჭოს საბავშვო ბაღი. გაჩნდა ისეთი ნაგებობანი, როგორიც არის საკვების მოსამზადებელი მთლიანად მექანიზებული ქარხანა, რძის ქარხანა. და თვითეული პავილიონი მოასწავებს უდიდეს ძვრებს სოფლის მეურნეობაში, მისი კულტურის აღმავლობას.

გამოფენა გვიჩვენებს ყამირი და ნასვენი მიწების თვალუწვდენი სივრცეების ათვისების დიად სამუშაოთა დასაწყისს, ცხადყოფს პირველ წარმატებებს, მოგვითხრობს ამ საქმის ენთუზიასტებზე — პატრიოტებზე, რომლებიც პარტიის მოწოდებით პირველნი ჩავიდნენ ყაზახეთის, ციმბირისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ოლქებისა და მხარეების რაიონებში.

ფართოდ გადაჭიმულან მიჩურინული ბაღი, საექსპონატო ნათესები, მეცხოველეობის ქალაქი, ზეწვიანი მხეცების ვოლიერები, ჩრდილიანი დასასვენებელი ზოლი... ორასზე მეტი ჰექტარი უკავია გამოფენას, რომელიც სიდიდით გაცილებით სჭარბობს უკანასკნელი დროის საერთაშორისო გამოფენებს.

გამოფენის მონაწილეთა შორის ბევრი არიან ისინი, ვის სახელებსაც სიყვარულით და პატივისცემით წარმოთქვამს მთელი ჩვენი ქვეყანა, ვინც ჩვენი სამშობლო გაამდიდრა უხვი მოსავლით, თვალსაჩინო მიღწევებით მეცხოველეობაში, მინდვრის კულტურების, ზოსტნეულის, ხილის ახალი ჯიშებით. საკოლმეურნო მინდვრების ადამიანები იზრდებოდნენ მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად.

ერთი პირველი ხუთასოვანთაგანი, რომლებმაც 1935 წელს შაქრის ჭარხლის სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს, უბრალო კოლმეურნე მარიამ ვასილის ასული განატენკო გახდა შაქრის ჭარხლის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. სატრაქტორო ზრიგადის ბრიგადირი პარასკევა ნიკიტას ასული ანგელინა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ომამდელი გამოფენის მონაწილეა; მისი შრომითი მამაცობა მაგალითი გახდა მრავალი ათასი ტრაქტორისტისათვის. ყურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „ზავეტი ილიჩას" მცდელი კოლმეურნე ტერენტი სიმონის-ძე მალცევი სსრ კავშირში საკოლმეურნეო მინდვრების პირველი სახელმწიფო საცდელი სადგურის დირექტორი გახდა. მის მუშაობას დაკვირვებით ადევნებენ თვალყურს მეცნიერები...

ასეთი მაგალითი ათასობით არის. ადამიანების ზრდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებათა ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა.

...1 აგვისტოს დილა მოწმენდილი, თბილი გათენდა. გამოფენისაკენ მიმავალი ქუჩები და იაროსლავლის გზატკეცილი სადღესასწაულოდ არის მორთული. ყველგან მოჩანს ალისფერი ალმები, მოკავშირე რესპუბლიკათა დროშები და გამოფენის ემბლემები, ტილოები, რომლებსაც აწერია გამოფენის მონაწილეებისადმი მისასალმებელი სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!".

გამოფენის წინ ზაფხულის განმავლობაში შეიქმნა ვრცელი პარკი მრავალწლოვან მცენარეთა ხეივნებით. ახალი მთავარი შესასვლელის გრანდიოზული თაღის პირდაპირ ნაირფერ ხალიჩებად დაფენილან ყვავილნარები.

გამოფენის გახსნაზე მოწვეულთა შორის არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები — ჩამოვიდა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შვიდი ათასზე მეტი მოწინავე. ადამიანები გამოწყობილი არიან სადღესასწაულოდ, ბევრს ეროვნული ტანისამოსი აცვია. დღესასწაულზე ჩამოვიდნენ დიდი ჩინელი ხალხის, გმირი კორეის, სახალხო დემოკრატიის ყველა ხალხის წარმომადგენლები. სტუმართა შორის არიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოწვევით მოსკოვში მყოფი პროფკავშირული, ახალგაზრდული და ქალთა დელეგაციები, უცხოეთის მთელი რიგი ქვეყნების კულტურის მოღვაწეთა დელეგაციები. ესწრებიან მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები.

სტუმართა შორის ცოტა როდია ომამდელი გამოფენის მონაწილე. ისინი შეიძლება იცნოთ იმ დაძაბული ყურადღებითაც, რომლითაც ნაცნობ ადგილებს ათვალიერებენ, და 1939-1941 წლების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მედლებითაც, რომლებიც მწვანე ლენტზე ჰკიდიათ. ამ საპატიო ნიშანთან ერთად ბევრს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები, საბრძოლო ორდენები. რა დაუშრეტელი ძალები მოეპოვება ჩვენს გოლიათ ხალხს, რომელმაც, განვლო რა ომის მძიმე წლები, უმაგალითოდ მოკლე ვადაში აღადგინა სოფლის მეურნეობა და მტკიცედ მიჰყავს იგი ახალი, მკვეთრი აღმავლობისაკენ.

გახსნაზე მოწვეული არიან აგრეთვე გამოფენის მშენებლები, ვისმა ნიჭიერმა შრომამაც შექმნა ეს საუცხოო ბაღი-ქალაქი, დედაქალაქის საწარმოთა ათასობით მუშაკი, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

შუადღისათვის სტუმრები შეიკრიბნენ კოლმეურნეობათა მოედანზე. მისი დიდი სივრცეები ათეულ ათასობით ადამიანით აივსო. მთავარი პავილიონის ტრიბუნაზე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები.

დღის 12 საათია. მიტინგს ხსნის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი და სიტყვას აძლევს გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს ი. ა. ბენედიქტოვს.

ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის სიტყვა

ამხანაგებო! სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც დღეს იხსნება, მრავალი მილიონი ადამიანის ყურადღებას იპყრობს არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

გამოფენა მუშაობას იწყებს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო ბრძოლა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის, რაც დასახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

საბჭოთა კავშირის სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ, რომელიც შეიქმნა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი წარმატებანი მოიპოვა.

ჩვენს ქვეყანაში ახლა არის 94 ათასი კოლმეურნეობა, 8.950 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 4.700-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით.

საკოლმეურნეო წყობილებამ ცხადყო თავისი უდავო უპირატესობა წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის წინაშე, აგრეთვე მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე როგორც მშვიდობიანი

(დასასრული მე-2 გვერდზე).



მოსკოვი. 1954 წლის 1 აგვისტო. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა. ფოტოებზე: 1. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. ა. ბენედიქტოვი ხჭრის ლენტს გამოფენის გახსნისას. 2. საქართველოს სსრ პავილიონის გახსნა. პავილიონის მთავარი აგრონომი ხ. მეკვანაძე და სამტრესტის აგრონომი ი. ანანიაშვილი აღმართავენ რესპუბლიკის ალაგს. 3. ჯგუფი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებისა საქართველოს სს რესპუბლიკიდან საქართველოს პავილიონთან (მარცხნიდან მარჯვნივ): ზუგდიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ა. ყუფუმია, მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ტ. მ. ჩხაიძე, წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ა. ქავთარაძე, ახმეტის რაიონის სოფელ ქოსტაურის კოლმეურნეობის მერგოლური, სტალინური პრემიის ლაურეატი ო. ნ. აივაზაშვილი და ბურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ზ. ოხოშვილი. ფოტო ვ. მასტოუკოვისა და ლ. ველიკუანინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის სიტყვის დასასრული

მშენებლობის წლებში, ისე დიდი სამამულო ომის წლებში. ომის წლების მძიმე პირობების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აკმაყოფილებდნენ საბჭოთა არმიისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე.

ომისშემდგომ წლებში სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ სწრაფად მოიშუშა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები და მოკლე ვადაში გადააჭარბა წარმოების ომამდელ დონეს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებში მოცემულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამა. ამ დადგენილებებში მკაფიოდ გამოიხატა პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის მთელმა ხალხმა მოიწონა და მათ მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს მუშებში, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ გახვლილ პერიოდში, პლენუმისა, რომელზეც დაისვა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, საკოლმეურნეო სოფელში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეიქმნა მექანიზატორთა მუდმივი კადრები. ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც მტს-ებში მოვიდნენ მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან, აუმჯობესებენ მტს-ების საქმიანობას, ამაღლებენ მათი მუშაობის კულტურას. შეიქმნა პირობები კოლმეურნეობათა უკეთესი აგრონომიული და ზოოტექნიკური მომსახურებისათვის. სოფლის მეურნეობის სპეციალისტების უმრავლესობა ახლა მუშაობს უშუალოდ კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ასრულებს თავის პირდაპირ საქმეს — ადიდებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას და ავითარებს საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

შესრულებულია ძუშაობა საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ფერმების გამგეების — განსამტკიცებლად. მრავალ კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს შესწავლილი აქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის მოწინავე მეთოდები და წესები და ახალი ტექნიკის გამოყენება.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია, ჩვენი მრეწველობა.

წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაძლიერების პროგრამა.

თანმიმდევრულად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათი რენტაბელობის გასაადიდებლად, სამეურნეო ანგარიშისა და უმტკიცესი მომჭირნეობის რეჟიმის დასანერგავად.

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს, კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამა წლის გაზაფხულზე ცხრანახევარი მილიონი ჰექტარით მეტი საგაზაფხულო კულტურები დათესეს, ვიდრე შარშან. საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი გადიდებულია ექვს მილიონ ოთხასი ათასი ჰექტარით. გადაჭარბებით შესრულდა ყამირ და ნასვენ მიწებზე საგაზაფხულო თესვის გეგმა. წარმატებით სრულდება მომავალი წლის მოსავლისათვის ყამირი და ნასვენი მიწების მომზადების გეგმა.

ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში მიმდინარეობს მოსავლის აღება. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, შეასრულონ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, კარგად დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი. მოსავლის აღების წარმატებით დამთავრება და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულება სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა უახლოეს წლებში უნდა გადაწყვიტონ კიდევ უფრო დიდი ამოცანები. უნდა მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებას, მნიშვნელოვნად გავადიდოთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, მისი პროდუქტიულობა.

ჩვენს ქვეყანაში ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მტს-მა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. ამოცანა ის არის, რომ ჩვენი მოწინავე მეურნეობების, წარმოების მოწინავეთა წარმატებები გავავრცელოთ ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში. ამას უნდა შეუწყოს ხელი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ძირითად და უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევათა ფართო პროპაგანდა, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაინერგოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა და ორგანიზატორების მოწინავე გამოცდილება, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ დაწესებულებათა მიღწევები.

გამოფენის მუშაკთა წინაშე დასახულია საპატიო და კეთილშობილური ამოცანა — აწარმოონ მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაცია, ღრმად და ყოველმხრივ გამოავლინონ მოწინავეთა მუშაობის ხერხები და მეთოდები და მეცნიერების მიღწევები, რათა ისინი მასობრივად გავრცელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

ჩვენში შექმნილია ყველა შესაძლებლობა და პირობა იმისათვის, რომ წარმოებაში ფართოდ დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მოწინავე მეთოდები, მოწინავეთა ყველა მიღწევა. გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ მოკლე ვადაში ავამუშაოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები. საჭიროა მივაღწიოთ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ისეთ საერთო აღმავლობას, რომ აყვავდეს ყველა კოლმეურნეობა, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად იყოს კვების პროდუქტები ქალაქების სულ უფრო მზარდი მოსახლეობისათვის და ნედლეული მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, რომ ყველა კოლმეურნე გახდეს უზრუნველყოფილი, შეძლებული.

სოფლის მეურნეობის შემდგომი და ყოველმხრივი განვითარების გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში წლითიწლობით იზრდება. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში რამდენჯერმე გადიდდა. მაგრამ ეს ზრდა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მკვეთრად გაადიდოს შრომის ნაყოფიერება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. ამას მოწმობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დიდი გამოცდილება.

გამოფენაზე ნაჩვენებია ამ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაჭრის გზები — ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი მანქანების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა-დამუშავების და პირუტყვის მოვლა-შენახვის ახალი პროგრესული ხერხებისა და მეთოდების დანერგვა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწოდებულია გახდეს მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევების შესწავლის მასობრივი სკოლა, გახდეს ნამდვილი სახალხო უნივერსიტეტი. იგი სახავს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმდიდრეს პერსპექტივებს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გვიჩვენებს მოწინავე გამოცდილებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა მეურნეობისა თუ მტს-ის დირექტორს, აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ინჟინერს, სატრაქტორო თუ მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირს, მერგოლურს, ტრაქტორისტს, კომბაინერს, მეცხოველეობის ფერმის გამგეს, მწველავს, მწყემსს, მეღორეს, მებაღეს, მეფუტკრეს — ყველას შეუძლია გამოფენაზე ნახოს ბევრი რამ ახალი და საგულისხმო.

გამოფენის ტერიტორია გადაჭიმულა 200-ზე მეტ ჰექტარზე. გამოფენაზე აგებულია 307 პავილიონი და ნაგებობა. გამოფენის 76 პავილიონში მოთავსებულია 3.700-ზე მეტი ლამაზად გაფორმებული სტენდი, რომლებზეც ნაჩვენებია გამოფენის მონაწილეთა მუშაობის გამოცდილება.

გამოფენის ღია ნაკვეთებზე, ორანჟერიებსა და სათბურებში გამოჰყავთ 260 სასოფლო-სამეურნეო კულტურის 1.800-ზე მეტი სხვადასხვა ჯიში. მეცხოველეობის განყოფილებაში ნაჩვენებია სხვადასხვა ჯიშის ორი ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მაღალპროდუქტიული პირუტყვი. გამოფენაზე წარმოდგენილია 32 ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის ისეთი მაღალპროდუქტიული ჯიში, როგორიც არის „ჯერსეის“, 51 ჯიშის ცხვარი, მათ შორის ისეთი შესანიშნავი ჯიშები, როგორიც არის „კავკასიური“, „საბჭოთა მერინოსი“, „ასკანიური“ და სხვ.; 23 ჯიშის ღორი; 32 ჯიშის ცხენი და ბევრი სხვადასხვა ჯიშის სხვა სასოფლო-სამეურნეო პირუტყვი.

გამოფენა ასახავს უხვ მძლავრ ტექნიკას, რომლითაც მრეწველობა აიარაღებს სოფლის მეურნეობას. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში და ღია მოედნებზე წარმოდგენილია 1.200 ტრაქტორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა, იარაღი, მექანიზმი და სადაზგო მოწყობილობა. ამ იარაღ-მანქანებს შორის 200-ზე მეტი ნიმუში საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ აგებული და მრეწველობის მიერ ათვისებულია ომისშემდგომ პერიოდში.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებებმა, რომლებიც მოპოვებულია ომისშემდგომ წლებში, შესაძლებელი გახადა ომამდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა მაჩვენებლები 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შესარჩევად. წელს პირველად, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონის მაჩვენებელთა გარდა, შემოღებულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მიწის უნაყოფიანად გამოყენებას. ეს არის თვითეულ 100 ჰექტარზე პროდუქციის მიღების მაჩვენებლები.

მიუხედავად იმისა, რომ გამოფენის მონაწილეთათვის გადიდებულია მაჩვენებლები, ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, მტს-მა და სოფლის მეურნეობის მოწინავემ არა თუ მიაღწია ამ მაჩვენებლებს, არამედ კიდევაც გადაჭარბა მათ.

გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ამა წლის გამოფენის მონაწილეებად დაამტკიცა სამი ათას ცხრაას თერთმეტი კოლმეურნეობა, ათას სამას ექვსი საბჭოთა მეურნეობა, ოთხას ცხრამეტი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, დიდძალი სამეცნიერო-საკვლევი, საცდელი და სასწავლო დაწესებულება და სოფლის მეურნეობის ას ორმოცდაათი ათასზე მეტი მოწინავე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. დამახასიათებელია, რომ გამოფენის მონაწილე რაიონები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები და კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იღებენ მთელ ნათეს ფართობზე, აღწევენ პირუტყვის მთელი სულადობის მაღალ პროდუქტიულობას, უზრუნველყოფენ პროდუქტების დიდ გამოსავალს თვითეულ ჰექტარ მიწაზე და სისტემატურად ამცირებენ პროდუქციის ერთეულის ხარჯებს.

გამოფენის მონაწილეთა შორის არიან ისეთი რაიონები და მტს-ები, რომლებმაც მთელი ნათესი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 22-23 ცენტნერი ხორბალი, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებმაც ჰექტარზე მიიღეს 30 და მეტი ცენტნერი ხორბალი.

გამოფენის მონაწილე ბევრმა რაიონმა ბამბა სარწყავ მიწებზე მიიღო 27-35 ცენტნერი ჰექტარზე, კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა — 38-40 ცენტნერი, ბრიგადებმა — 56-58 ცენტნერი ჰექტარზე.

გამოფენის ბევრმა მონაწილემ უნარიანად გამოიყენა მიწა და თვითეულ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიაღწია პროდუქციის დიდ გამოსავალს.

გამოფენის დამთვალიერებლებს შეუძლიათ გაეცნონ ჩვენი ქვეყნის იმ მოწინავე რაიონების მუშაობის გამოცდილებას, რომლებიც თვითეულ 100 ჰექტარ ნახნავზე, მდელოსა და საძოვარზე იღებენ 500-600 ცენტნერ რძეს, იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილებას, რომლებიც თვითეულ 100 ჰექტარ ნახნავზე, მდელოსა და საძოვარზე იღებენ 800-1000-ზე მეტ ცენტნერ რძეს.

გამოფენაზე ნაჩვენებია იმ მოწინავე კომბაინერთა გამოცდილება, რომლებიც 18-20 სამუშაო დღეში 10-11 ათას ცენტნერ მარცვლეულს ლეწავენ.

გამოფენის მონაწილე სოფლის მეურნეობის მოწინავეები თავიანთი საქმის დიდი ოსტატები არიან. ბევრმა მათგანმა გვიჩვენა შრომითი გმირობის ნიმუშები. ისინი საყოველთაო-სახალხო მადლობისა და პატივისცემის ღირსი არიან.

გამოფენის მონაწილეთა მაღალი ოსტატობა გულდასმით უნდა შევისწავლოთ და გავავრცელოთ. ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა მოაწყონ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა, იბრძოლონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაინერგოს მათი მიღწევები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ და განაზოგადონ გამოფენის მონაწილეთა მუშაობის მოწინავე მეთოდები და ხერხები, მოაწყონ წარმოებაში მათი დანერგვა ზონალური პირობების შესაბამისად.

წელს გამოფენას დაათვალიერებს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების 300 ათასზე მეტი წარმომადგენელი. გამოფენის დამთვალიერებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მეთოდების გაცნობას.

გამოფენის ყოველი მონაწილე, სოფლის მეურნეობის ყოველი მუშაკი, რომლებიც გამოფენას დაათვალიერებენ, უნდა გახდეს თავის კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების იმ მიღწევათა დანერგვის პროპაგანდისტი და აქტიური ორგანიზატორი, რომლებსაც იგი გამოფენაზე გაიცნობს.

მთავრობის გადაწყვეტილებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მუდმივი იქნება. კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა მომავალ წელს გამოფენაზე წარმოდგენილი იყოს კიდევ უფრო მეტი შესანიშნავი მიღწევა, რათა მიღწეულ იქნას კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები.

ამხანაგებო!

ჩვენს დღესასწაულზე — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაზე — შეიკრიბნენ მოწინავე ადამიანები — სოფლის მეურნეობის მუშაკები ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველა მხარიდან, ოლქებიდან და რესპუბლიკიდან. ჩვენთან ჩამოვიდნენ ჩვენი ძვირფასი მეგობრები — დიდი ჩინელი ხალხის, გმირი კორეის წარმომადგენლები. სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები. (ტაში). ჩვენს შორის არიან უცხოეთის ბევრი სხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები.

ნება მიბოძეთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა სახელით მივესალმო ყველა ჩვენს სტუმარს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გვიჩვენებს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ნაყოფს. იგი მოწმობს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეულ პოლიტიკას და ხელს შეუწყობს ხალხთა მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ნება მიბოძეთ მივესალმო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ყველა მონაწილეს, რომლებმაც თავიანთი შეუპოვარი შრომით მოიპოვეს გამოფენაში მონაწილეობის უფლება, და ვუსურვო მათ შემდგომი კიდევ უფრო დიდი წარმატებანი.

გაუმარჯოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა მრავალმილიონიან არმიას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას! (ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს! (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას გახსნილად ვაცხადებ.

* * *

დიდებულად ფეხერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მთავარ პავილიონზე აღიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი; ფრიალებს ალმები მოკავშირე რესპუბლიკათა პავილიონებზე. ამხ. ბენედიქტოვი ჭრის ლენტს მთავარ პავილიონში შესასვლელთან. მაღლა ავარდა შადრევნების ნაკადები.

ამხ. ბენედიქტოვი სთხოვს ყველა დამსწრეთ გაეცნონ პავილიონებს.

1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნა.

ათასობით მნახველი გაემართა პავილიონებში, საექსპონატო ნათესების ნაკვეთებზე, მიჩურჩულ ბაღში — სოფლის მეურნეობის მშრომელთა ფასდაუდებელი გამოცდილების საგანძურისაკენ.

საღამოს კი, როცა აინთო უამრავი ნათურა, კაშკაშა ფერებად გაბრწყინდა შადრევანთა ნაკადები, კიდევ უფრო დიდებული გახდა თოვლივით თეთრი სასახლე-პავილიონები, რომლებსაც გარს არტყია ზურმუხტოვანი მწვანე. ესტრადებიდან გაისმა სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები, შრომისა და მშვიდობის სიმღერები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ფინეთის სეიმის დელეგაციის

31 ივლისს ფინეთის სეიმის დელეგაცია სეიმის თავმჯდომარის კ. ა. ფაგერჰოლმის მეთაურობით მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა.

მიღებას დაესწრო აგრეთვე ფინეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში რ. ენკელი.

დარბაზობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარესთან და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარესთან ფინეთის სეიმის დელეგაციის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით მოსკოვში სტუმრად არის ფინეთის სეიმის დელეგაცია სეიმის თავმჯდომარის კ. ა. ფაგერჰოლმის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სეიმის დეპუტატები ვ. ვ. კაასალაინენი, ე. ხ. კატილა, კ. ა. კლეემოლა, ხ. ო. კუუსინენი, ტ. ე. ნურდსტრემი, ე. ა. ტაინიო, გ. ჰენრიკსონი, ო. პ. ხეტემიაკი, ო. ა. ხილტუნენი და სეიმის მდივანი ე. ხ. ი. ტამიო.

31 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა დარბაზობა გამართეს ფინეთის სეიმის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი გ. თ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. თ. პოპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი კ. ა. გუბინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები: ვ. ა. ზორინი, ს. ვ. კაფტანოვი, მ. რ. კუზმინი, ი. თ. სემიჩასტნოვი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ს. ს. ბირიუზოვი, ნ. ე. ბასისტი, ვ. გ. ბლაჟენოვი, ი. ი. დუდინი, პ. ტ. კომაროვი, ზ. ა. ლებედევა, ი. ე. პეტროვი, ა. ე. პეტრუშევი, ე. ა. ფურცევა, ა. ს. ჩუტკიხი, ა. ს. იაკოვლევი და სხვები. დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პრესის მუშაკები.

სტუმრებს შორის იყვნენ ფინეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში რ. ენკელი და საელჩოს წევრები.

დარბაზობამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

დარბაზობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

პირველ აგვისტოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. ა. ბენედიქტოვმა დარბაზობა გამართა.

სტუმრებს შორის დარბაზობაზე იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ფინეთის, შვეციის, ნორვეგიის, კანადის, ავსტრიის, ირანის, ისლანდიის, ეთიოპიის, ისრაელის სახელმწიფოსა და სხვათა დელეგაციები, რომლებიც გამოფენაზე ჩამოვიდნენ.

დარბაზობას დაესწრნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი, რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მინისტრი პ. პ. ლობანოვი, გამოფენის მონაწილენი — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, კოლმეურნეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მეცნიერების მოღვაწეები, გამოფენის მშენებლები — მუშები, არქიტექტორები, მხატვრები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

უხეში და წვნიანი საკვების დამზადების მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით		
	თივის აღება	ნამჯის შეგროვება	დასილოსება
ახალქალაქის	0	0	53,0
ბოგდანოვკის	4,6	0	75,9
ახალციხის	44,7	0,3	36,2
ადიგენის	4,9	0	47,2
ასპინძის	35,6	0,2	62,1
ხაშურის	24,9	4,8	6,0
ქარელის	49,0	9,9	12,1
გორის	60,7	10,3	18,4
კასპის	32,8	26,4	24,1
ბორჯომის	0	0	12,8
წალკის	14,0	0,4	91,9
დუშეთის	41,1	4,8	20,2
თეთრი წყაროს	41,0	10,2	57,6
თიანეთის	25,2	0,6	40,0
ყაზბეგის	81,4	0	0
გურჯაანის	69,2	30,2	59,2
კაჩრეთის	115,2	26,7	65,2
სიღნაღის	112,1	13,4	68,7
წითელწყაროს	112,7	13,9	90,6
თელავის	108,2	12,6	33,4
ახმეტის	20,9	13,8	11,3
ყვარლის	73,6	49,7	28,3
ლაგოდეხის	57,3	26,3	7,6
გარეჯის	53,5	7,5	26,1
მცხეთის	48,5	20,8	10,8
გარდაბნის	87,3	9,6	12,8
მარნეულის	140,0	9,6	41,6
ბოლნისის	51,7	12,7	88,9
საგარეჯოს	63,7	17,3	48,5
დმანისის	29,6	8,0	106,6
სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი	28,4	0,1	39,2
აბაშის	0	0	0
ცხაკაიის	0,3	0	0
ვანეკაპორის	2,5	0	0
ზუგდიდის	0	0	0
ხობის	0	0	10,7
წალენჯიხის	5,4	0	3,5
ჩხოროწყუს	11,2	0	0
მახარაძის	3,5	0	1,7
ლანჩხუთის	0	0	0,8
ჩოხატაურის	1,2	0	0
ფოთის	19,7	0	0
ქუთაისის	12,1	0,3	11,5
წყალტუბოს	9,7	0	0
სამტრედიის	0	0	0
წულუკიძის	1,3	0,2	1,0
ვანის	7,8	0,4	10,3
მაიაკოვსკის	0,9	0,4	9,0
ზესტაფონის	1,4	0,1	27,0
თერჯოლის	0	0	5,5
ჭიათურის	6,3	0	9,6
საჩხერის	14,8	0,3	5,8
ორჯონიკიძის	9,9	0	15,2
ტყიბულის	0,4	0	0
ონის	7,2	0	5,1
ამბროლაურის	16,8	0	5,8
ცაგერის	33,5	0	2,9
ლენტეხის	0	0	3,3
მესტიის	0	0	17,4
ქლუხორის	0	0	62,7
აფხაზეთის ასსრ	5,4	0	1,1
აჭარის ასსრ	4,1	0	0
სულ რესპუბლიკაში	**28,4**	**6,2**	**34,1**

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

★ ★

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

წელს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (დირექტორი გ. ზარიძე) მისაღებ გამოცდებზე 1.719 ახალგაზრდა მოვიდა. მათ შორის არიან ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, ტექნიკუმდამთავრებულნი, აგრეთვე საშუალო სკოლადამთავრებული ის ახალგაზრდები, რომლებმაც წლების განმავლობაში სხვადასხვა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ენერგიული შრომით გამოიჩინეს თავი.

ინსტიტუტის მიმღებ კომისიას კარგად მოუფიქრებია, რომ გამოცდების ჩამბარებელნი ეზოებსა და დერეფნებში კი არ იცდიან, არამედ აუდიტორიაში სხედან და უსმენენ როგორ ახარებს მათი ამხანაგი. ეს ზრდის ახალგაზრდების პასუხისმგებლობას, გამომცდელის მომთხოვნელობას, ამავე დროს დირექციას მეტი კონტროლის საშუალებას აძლევს.

გამოცდების პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები სერიოზულად ემზადებოდნენ მისაღები გამოცდებისათვის. ფიზიკაში, ქიმიასა და მათემატიკაში თბილისის სკოლების კურსდამთავრებულებთან ერთად კარგი წარმატება გამოავლინეს ქალაქ ჭიათურის საშუალო სკოლების მიერ გამომცემულმა ახალგაზრდებმა.

გამოცდებზე გამოვლინდა აგრეთვე ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა არა მარტო დაბალი აკადემიური მომზადება, არამედ ცუდი ყოფაქცევაც. მაგალითად, ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგაული) რაიონის კიცხის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ა. ო. დვალმა უხეშად დაარღვია დისციპლინა — გამომცდელებს მუქარა დაუწყო. ეს კიცხის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის დაბალ დონეზე მეტყველებს.

საერთოდ წელს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ორგანიზებულად დაიწყო.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში

დღეს აქ დიდი გამოცოცხლებაა. მოსულან ახალგაზრდები მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. წელს განსაკუთრებით იგრძნობა ლტოლვა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა შესწავლისაკენ. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 2.841 განცხადებაა. გარდა უგამოცდოდ ჩარიცხულებისა, სულ მისაღებია 276 კაცი. განცხადებათა ყველაზე მეტი რაოდენობა მებაღეობა-მევენახეობისა და აგრონომიულ ფაკულტეტებზე მოდის. წელს ინსტიტუტის აგრონომიულ, მექანიზაციისა და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტებზე პირველად გაიხსნა რუსული სექტორები, რომლებზეც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები უკვე შეუდგნენ გამოცდების ჩაბარებას.

გამოცდების პირველმა დღემ ბევრი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა. მაგალითად, მაღალი შეფასებები დაიწერა ქიმიაში, მათემატიკაში და სხვა დისციპლინებში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი ცუდად ან საშუალოდ არის მომზადებული. თბილისის ქალთა 27-ე სკოლიდან აგრონომიულ ფაკულტეტზე შემსვლელმა ორმა გოგონამ სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა ქიმიაში. ეს ფაქტი ზოგიერთი მასწავლებლისა და სკოლის ცუდ მუშაობას მოწმობს.

მომავალ პედაგოგებთან

განსაკუთრებულ მღელვარებას განიცდიან აქ მოსულნი. გუშინ ორ აგვისტოს დაიწყო მისაღები გამოცდები უცხო ენათა ინსტიტუტში. წელს 115 ვაკანტურ ადგილზე აბარებს 600-ზე მეტი კაცი, ხოლო უგამოცდოდ ჩაირიცხა 60 ფრიადოსანი და მედალოსანი. ბუნებრივია, რომ აქ მოხვდება მხოლოდ ის, ვინც ბეჯითი სწავლითა და მუყაითი შრომით გამოიყენა საშუალო სკოლაში გატარებული წლები. ამიტომ არის, რომ გულის ასეთი თრთოლვით შედიან ახალგაზრდები მისაღებ გამოცდებზე.

წელს განსაკუთრებით დიდი კონკურსია გერმანული ენის ფაკულტეტზე. საგამოცდო კომისიის წინაშე თბილისელ ახალგაზრდობასთან ერთად გამოცდების პირველ დღეს წარდგნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები, რომლებიც უცხო ენების კარგ ცოდნასა და მომზადებას ამჟღავნებენ.

* * *

შარშანდელზე გაცილებით მეტი ახალგაზრდა მოვიდა წელს ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ ახალგაზრდების მიზნად აქვთ დასახული საფუძვლიანად შეისწავლონ დიდი რუსი ხალხის ენა, გახდნენ პედაგოგები.

პირველ დღეს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გამოცდები ჩაბარა ას სამოცდათხუთმეტმა კაცმა. გამოცდები მიმდინარეობდა ქიმიის, ფიზიკა-მათემატიკისა და სომხურ-აზერბაიჯანულ ფაკულტეტებზე.

გამოცდები წარმატებით მიმდინარეობს. იგი ცხადყოფს ჩვენი ახალგაზრდების საუკეთესო მომზადებას.

★

ფრანსპორტის მომავალი კადრები

აუდიტორიებში სრული სიწყნარეა. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში მისაღები გამოცდები მიმდინარეობს. წელს აქ ყველა პირობაა შექმნილი გამოცდების წარმატებით ჩატარებისათვის. ინსტიტუტის შენობაში გამოყოფილია სპეციალური მოსაცდელი დარბაზები, სადაც მომავალ სტუდენტებს შეუძლიათ დაისვენონ, გაიმეორონ მასალა, დაელოდონ გამოცდაზე გამოძახებას.

წელს ინსტიტუტის ხუთ ფაკულტეტზე მიღებულ იქნება 500 კაცი. აქედან 100 მედალოსანი უკვე ჩარიცხულია. გუშინ აქ ქართული სექტორისათვის გამოცდა მოეწყო რუსულ წერაში, ხოლო რუსული ჯგუფებისათვის — მათემატიკაში.

მერვე წელია ინსტიტუტი შევსებას იღებს საბჭოთა კავშირის შორეული ქალაქებიდან. ამჟამად ტომსკში, ნოვოსიბირსკსა და ხაბაროვსკში ინსტიტუტის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. კონკურსში მოხვედრილი 125 კაცი ჩაირიცხება ინსტიტუტში. მათთვის უკვე მზად არის საერთო საცხოვრებელი.

მისაღები გამოცდების პირველმა დღემ გვიჩვენა, რომ ინსტიტუტის დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული მუშაობა გაუწევიათ ახალი შევსების კარგად შეხვედრისათვის.

სამედიცინო ინსტიტუტში

მედქალაქის ერთ-ერთი კორპუსის ვრცელ აუდიტორიებსა და დერეფნებში სამაგალითო წესრიგი და მუყდროებაა. გამოცდების ჩამბარებელთათვის შექმნილია ყველა პირობა, რათა მათ რაც შეიძლება აუღელვებლად ჩაბარონ გამოცდები. პირველი გამოცდა წერაა. ქართულ ენაში უკვე შერჩეულია შესაფერისი თემები, რუსულში კარნახით წერენ. დროც საკმარისად არის გამოყოფილი იმისათვის, რომ გამოცდებში მონაწილე ჭაბუკებმა და ქალაშვილებმა გამოავლინონ თავიანთი ცოდნა, უნარი.

მიუხედავად ამისა, წერაში გამოცდის პირველი დღის შედეგები მაინც და მაინც სახარბიელო არ არის, განსაკუთრებით რუსულ წერაში. მხოლოდ რამდენიმე კაცმა მიიღო შეფასება „ხუთი“, 30 პროცენტზე მეტს კი „ორი“ დაეწერა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენს ზოგიერთ სკოლაში რუსული ენის სწავლება ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

ინსტიტუტში შემსვლელებმა გაცილებით უკეთესი ცოდნა გამოავლინეს ზეპირ გამოცდაში.

შვიდასზე მეტი ახალგაზრდა იღებს წელს მონაწილეობას თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებში, ვაკანტური ადგილების რიცხვი კი გაცილებით ნაკლებია, და ინსტიტუტის კარი მხოლოდ უკეთესთათვის გაიღება.

თამარ აბაკელიას ნამუშევართა გამოფენაზე

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში ამ დღეებში უურადღებას იპყრობდა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი ქართველი ქალისა, რომელიც თითქოს სიამაყით უმზერდა საგამოფენო დარბაზებს, სადაც კედლებზე, სტენდებზე და დგამებზე მოხდენილად განლაგებული იყო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მხატვრული ნამუშევრები.

ლესია უკრაინკას ბიუსტი, შესრულებული მოქანდაკე თამარ აბაკელიას მიერ.

✪

პორტრეტზე, რომელიც შესრულებულია მხატვარ ა. ბანძელაძის მიერ და რომელსაც ქვეშ აქვს წარწერა — „1905—1953“, გამოსახულია გამოჩენილი ქართველი ხელოვანი ქალი — თამარ აბაკელია, ხოლო გამოფენილი ნამუშევრები წარმოადგენენ მისი ნიჭისა და მუყაითი შრომის შედეგს.

თამარ აბაკელიასათვის ჩვეულ ტექნიკით და სტილით შესრულებულ მხატვრულ ნამუშევრებს, რომელთა რიცხვი გამოფენაზე 300-მდე აღწევს, ახასიათებს ეროვნული სპეციფიკა, კომპოზიციის შესანიშნავი შეგრძნობა, ლაკონიურობა, დამჯერებლობა და ფსიქოლოგიური მომენტის ძალდაუტანებელი გახსნა.

თამარ აბაკელიას შემოქმედება წარმოადგენს ლირიკისა და ჰეროიკული ეპოსის შენაერთს, რომელიც ერთნაირად ახასიათებს როგორც მის მონუმენტალურ, სკულპტურულ, ისე ფანქრით შესრულებულ მცირე ზომის ნამუშევრებს.

მხატვრის ჯერ კიდევ ახალგაზრდობის პერიოდის თვალსაჩინო ნაშრომი —მარქს—ენგელს — ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფრონტონის ფრიზი ავლენს მის უსაზღვრო შესაძლებლობასა და ფანტაზიას. ნათლად გადაწყვეტილი დინამიკური და აღმავლობითი კილოთი შესრულებული კომპოზიციები ბრწყინვალედ წარმოსახავენ საქართველოს ისტორიულ გზას რევოლუციის პირველი დღეებიდან დღემდე.

ბუნებით მოქანდაკე, მტკიცე ხელითა და ზუსტი თვალით დაჯილდოებული მხატვარი იოლად ძლევს რთულ კომპოზიციებს მხატვრობის ყოველ დარგში, ხოლო ქანდაკებაში მათი ყოველმხრივი აღქმის შესაძლებლობას იძლევა. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „კოლმეურნის ოჯახი“ (1945 წ., თაბაშირი). ამ თემამ — სოციალისტური ოჯახის ურყევობისა და სიმტკიცის თემამ თ. აბაკელიას შემოქმედებაში ადრეც მრავალჯერ ჰპოვა გამოხატულება. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ „ბედნიერი ოჯახი“ — 1936 წ. თამამად შესრულებული ნახატის საშუალებით მხატვარი იძლევა ჰარმონიულობითა და რიტმით აღსავსე კომპოზიციას. მხატვრის მიერ შექმნილი მშრომელი ოჯახის სახე ჯანსაღ განწყობილებას ქმნის.

საერთო ყურადღებას იმსახურებს თამარ აბაკელიას მიერ შექმნილი ქანდაკება „შურს ვიძიებთ“ (1944 წელი, ბრინჯაო), რომელშიც კარგად არის გადმოცემული მძაფრი ფსიქოლოგიური მომენტი. სახის ფსიქოლოგიური გახსნა ახასიათებს აგრეთვე უკრაინელი ქალის ლესია უკრაინკას პორტრეტს (1951 წ.) და სხვა ნამუშევრებს.

თ. აბაკელიას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სოციალისტური შრომის ასახვას. ამ თემაზე შესრულებულ მრავალრიცხოვან ნამუშევართა შორის აღსანიშნავია „მრეცხავები“ (1927 წ.), „ჩაის კრეფა“ (1929 წ.), „ბროწეულის კრეფა“ (1930 წ.), „ბამბის მკრეფავი თურქმენი ქალი“ (1932 წ.), „ნარინჯის კრეფა“ (1932 წ.), „შემოდგომა იმერეთში“ (1937 წ.), „პირველი ტრაქტორი“ (1940 წ.), „შემოდგომა“ (1943 წ.), „რთველი“ (1946 წ.), ესკიზები ფრიზისათვის „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა“ (1946—47წ.) და სხვ. ამ ნამუშევრებში გულუხვად და ოსავად არის წარმოდგენილი ჩვენი საყვარელი სამშობლო, მისი ლაღი ხალხი და წარმტაცი ბუნება.

გამოფენაზე გამოტანილია ილუსტრაციები ქართველ, რუს, უკრაინელ და სომეხ ხალხთა ლიტერატურული შემოქმედებიდან, მრავალი ესკიზი დეკორაციებისა [illegible] თეატრალური [illegible] თვის. [illegible] ერთა ცხოვრების ასახვას, მისი შემოქმედება ერთა ძმობის დიად იდეებს ემსახურება. ამასთან მხატვარი ტიპაჟებს ყველგან უნარჩუნებს თავისებურ ეროვნულ კოლორიტს. შესანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ (1937 წ.), „დავით სასუნცის“ (1939 წ.), „დავითიანის“ (1950 წ.) ილუსტრაციები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვაჟა ფშაველას პოემების ილუსტრაციები. მხატვარი ღრმად სწვდება მწერლის ბუნებასა და მხატვრულ ჩანაფიქრს.

ბრინჯაოს ქანდაკება „შურს ვიძიებთ“. ავტორი თ. აბაკელია.

✪

თამარ აბაკელიას ნამუშევართა საინტერესო გამოფენამ კიდევ უფრო ცხადყო შემოქმედის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელოვნების საგანძურში შეტანილი წვლილის სიდიადე, დაგვარწმუნა, რომ ნამდვილად უმრეტია სოციალისტური ქვეყნის შვილთა შემოქმედების წყარო.

ამჟამად მხატვარ თამარ აბაკელიას ნამუშევართა გამოფენა, საბჭოთა ხალხების შემოქმედებითი მიღწევების ურთიერთგამდიდრებისა და მხატვრის შემოქმედების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით, იგზავნება მოძმე სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში.

გ. ჯაფარიძე.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში

საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი დიდი ქართველი პოეტის დაბადების 249 წლისთავისადმი. საღამოზე თავი მოიყარეს მცხეთის რაიონის მოსწავლეებმა, ინტელიგენციამ, მუშებმა, კოლმეურნეებმა.

დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მცხეთის კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა და მუზრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მომღერალთა გუნდმა.

ს. გოგრთამაშვილი.

საერთაშორისო თემაზე

ჩინეთში სახალხო დემოკრატიის განვითარების ახალი ეტაპი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დამთავრდა ქალაქებისა და სოფლების სახალხო წარმომადგენელთა კრებების არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მთელი რიცხვის თითქმის 86 პროცენტმა. არჩევნების შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ განმტკიცდა სახალხო დემოკრატია, გაძლიერდა ჩინეთის ხალხის მასების პოლიტიკური შეგნება. შეიქმნა იმის პირობები, რომ მოწვეულ იქნას პროვინციის სახალხო წარმომადგენელთა კრებები და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიიღებს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, რაც სპეციალურად საამისოდ შექმნილ კომისიას დაევალა, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. კომისიის მუშაობაში, რომელიც ორნახევარ თვეს გაგრძელდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლებმა, დემოკრატიული პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა. სულ 8 ათასზე მეტმა კაცმა.

14 ივნისს ცენტრალური სახალხო მთავრობის სხდომამ ერთხმად მიიღო კომისიის მიერ წარდგენილი კონსტიტუციის პროექტი და გასცა განკარგულება მისი გამოქვეყნების შესახებ. მაგრამ ამით სრულიადაც არ მთავრდება მოსამზადებელი მუშაობა. პირიქით, სწორედ ახლა ენიჭება მას განსაკუთრებით ფართო ხასიათი. მთავრობამ დაავალა ხელისუფლების ყველა ადგილობრივ ორგანოს ფართოდ გაავრცელონ კონსტიტუციის პროექტი მოსახლეობაში, რათა მოსახლეობამ შეიტანოს წინადადებანი, რომელთა მიზანი იქნება მისი გაუმჯობესება.

ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც ახლა ასეთი ნამდვილად დემოკრატიული გზით მუშავდება, პირველი კონსტიტუცია იქნება ჩინეთის ისტორიაში. ეგრეთწოდებული „დროებითი კონსტიტუცია“, რომელიც გოუნდანელთა ბიუროკრატიამ შეთხზა 1931 წელს, სხვა არა იყო რა, თუ არ მსხვილი კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირების, რეაქციული ბლოკის დიქტატურის საკანონმდებლო გაფორმება. სახალხო რევოლუციამ დაამხო ჩან კაი-შის ანტიეროვნული ფაშისტური რეჟიმი, რომელიც უცხოელი იმპერიალისტების ხიშტებს ეყრდნობოდა, დაამსხვრია მისი ხელისუფლების მთლიანად დამპალი მილიტარისტული, ბიუროკრატიული და ჟანდარმთა აპარატი და დაამყარა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება. ჩინეთის განთავისუფლების შემდეგ მოისპო რეაქციული რეჟიმის ეკონომიური საფუძველი — მიწათმფლობელობის ფეოდალური და ნახევრადფეოდალური სისტემა, აგრეთვე კომპრადორული ბურჟუაზიის — ბურჟუაზიის იმ ნაწილის ბატონობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული უცხოეთის კაპიტალთან და ეხმარებოდა მას ჩინეთის ძარცვაში.

გამარჯვებულმა სახალხო ხელისუფლებამ გააერთიანა ჩინეთი, განმტკიცა ეროვნული თავდაცვა, დაამყარა ურყევი რევოლუციური წესრიგი, ერთიანი ოჯახად დარაზმა ჩინეთის მოსახლე ყველა ეროვნება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის უკვე პირველი სამი წლის განმავლობაში მისი ეკონომიკა სავსებით აღდგენილ იქნა, ხოლო წარმოების ბევრ დარგში გადააჭარბა წარმოების ყველაზე მაღალ დონეს, რომლისთვისაც კი მიუღწევია ჩინეთს წარსულში. 1953 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეუდგა თავისი პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, რომლის მიზანია საფუძველი ჩაუყაროს ჩინეთის ინდუსტრიალიზაციას. შეიქმნა ყველა საჭირო წანამძღვარი ჩინეთის სახალხო დემოკრატიის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისათვის.

ეს ეტაპი იმით აღინიშნა, რომ მოეწყო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საყოველთაო არჩევნები და მომზადდა კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს 1949 წლის საერთო პროგრამა, არა მარტო განმტკიცებს სახალხო რევოლუციის ისტორიულ მონაპოვარს და ჩინელი ხალხის უკვე მიღწეულ გამარჯვებას პოლიტიკური და სამეურნეო მშენებლობის დარგში, არამედ კიდევაც უჩვენებს შემდგომი განვითარების გზას, ასახავს ძირითად ამოცანებს, რომლებიც ჩინეთის წინაშე დგას გარდამავალ პერიოდში, — სოციალიზმის მშენებლობისათვის მზადების პერიოდში.

„ეს კონსტიტუცია, — წერს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“, — ჩინეთში სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლის კონსტიტუციაა. ეს კონსტიტუცია კანონის სახით განასაზღვრავს ჩინელი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და ძირეულ მისწრაფებებს“.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, — სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოა, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და საფუძვლად უდევს მუშათა და გლეხთა კავშირი“.

ამ კავშირის შემდგომი განმტკიცება კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილი მეორე ამოცანის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი საწინდარია, იმ ამოცანისა, რომ „თანდათანობით მოისპოს ექსპლოატაციის სისტემა და აშენდეს სოციალისტური საზოგადოება“.

ახლა ჩინეთში წარმოების საშუალებათა საკუთრების სახელმწიფო ფორმასთან ერთად არსებობს კოოპერაციული საკუთრება, აგრეთვე ერთპიროვნულ მშრომელთა საკუთრება და კაპიტალისტების საკუთრება. სახელმწიფო სოციალისტური სექტორი ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელი ძალაა და სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების. მატერიალური საფუძველია. აი ამიტომ კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის უპირატეს განვითარებას“. ჩინეთში გეგმაზომიერად, თანდათანობის პრინციპის დაცვით ხორციელდება სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობისა და კერძო — კაპიტალისტური მრეწველობის სოციალისტური გარდაქმნა. გასული წლის დამლევს ყველა გლეხური მეურნეობის უკვე 43 პროცენტი იყო სხვადასხვა საწარმოო კოოპერაციულ გაერთიანებაში, ხოლო წელს ასეთ მეურნეობათა რიცხვი 59 პროცენტს მიაღწევს.

„კონსტიტუციის პროექტი, — წერს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“, — აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კანონიერ მფარველობას გაუწევს მიწის, წარმოების საშუალებათა და ერთპიროვნული გლეხების სხვა ქონების საკუთრების უფლებებს, წაახალისებს რა მათ ამავე დროს, რომ ისინი თანდათანობით დაადგნენ კოოპერაციის გზას ნებაყოფლობის საფუძველზე; სახელმწიფო კანონიერ მფარველობას გაუწევს კაპიტალისტთა წარმოების საშუალებებსა და სხვა ქონებას, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო ხელს შეუწყობს იმას, რომ კერძო კაპიტალისტური მრეწველობა და ვაჭრობა თანდათანობით დადგეს სახელმწიფო კაპიტალიზმის რელსებზე, რათა შემდეგ თანდათანობით მისცეს მათ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური ეკონომიკის ფორმები“.

კონსტიტუციის პროექტში წერია: „შრომა ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის ღირსების საქმეა“. ჩინელი ხალხის შემოქმედებითი აქტივობის უმაგალითო აღმავლობის წყაროა მასების გაზრდილი შეგნებულობა და სახალხო ხელისუფლების დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მაგალითად, შარშან ჩინეთის მოსახლეობის მყიდველობითი უნარი 1952 წელთან შედარებით თითქმის 20 პროცენტით გაიზარდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლე ერების მეგობრობა ჩინეთის საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა. „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, — ნათქვამია პროექტში, — ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოა. ყველა ეროვნებას თანასწორი უფლებები აქვს“. პროექტი ითვალისწინებს, რომ განხორციელდეს რაიონული ავტონომია ყველგან, სადაც ეროვნული უმცირესობა კომპაქტურად ცხოვრობს.

იმ თავში, რომელიც მიძღვნილია სახელმწიფო წყობილებისადმი, აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება — ერთად-ერთი ორგანო სახელმწიფოში, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ძალაუფლებას. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება ირჩევს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ჩინეთში, მისი უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

კონსტიტუციის პროექტის თვითეული მუხლი, რომელიც მიძღვნილია ძოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობათადმი, გამსჭვალულია ღრმა დემოკრატიული სულისკვეთებით. პროექტი ითვალისწინებს, რომ ყველა მოქალაქეს მიენიჭოს თანასწორი საარჩევნო უფლებები განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სოციალური წარმოშობისა ან მდგომარეობისა, და ცხადდება სიტყვის, პრესისა და კრების თავისუფლება. სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეებმა გამოიყენონ კონსტიტუციური უფლებები ამისათვის საჭირო მატერიალური სახსრების მიცემით. სახელმწიფო უზრუნველყოფს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა შრომის, დასვენების, განათლებისა და მოხუცებულობის და შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლებებს.

კონსტიტუციის პროექტით რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ხალხს ეკუთვნის. მათი დანიშნულება მთლიანად შეესაბამება ჩინეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარულ ხასიათს: შეიარაღებულმა ძალებმა უნდა დაიცვან სახელმწიფოს უშიშროება, მისი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ურყევი პრინციპი, ხაზგასმით არის აღნიშნული კონსტიტუციის პროექტში, არის მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის მიზნების სამსახური. კონსტიტუცია აცხადებს ჩინელი ხალხის მისწრაფებას საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ურღვევი მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისადმი. „ჩვენმა ქვეყანამ, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში, — უკვე მიაღწია წარმატებებს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ ინტერესების, ტერიტორიისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების პოლიტიკის დარგში. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად განხორციელდება მომავალშიც. საერთაშორისო საქმეებში ჩვენი ქვეყნის მტკიცე და ურყევი კურსია ემსახუროს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის დიად მიზნებს“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნისათვის ბრძოლაში შეიქმნა ფართო სახალხო დემოკრატიული ერთიანი ფრონტი. მას სათავეში უდგას ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ერთიანებს ჩინეთის ყველა დემოკრატიულ პარტიას და ყველა სახალხო ორგანიზაციას. ეს ერთიანი ფრონტი მომავალშიც შეასრულებს თავის როლს ჩინელი ხალხის მობილიზაციასა და დარაზმვაში. კონსტიტუციის პროექტის „შესავალში“ ნათქვამია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია ჩინელი ხალხის ხელმძღვანელი ძალაა.

კონსტიტუციის პროექტი მზურვალედ მოიწონა ჩინეთის საზოგადოების ყველა ფენამ, ყველა დემოკრატიულმა პარტიამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. მიღება კონსტიტუციისა, რომელსაც ჩინეთში სოციალიზმის აშენებლობის კონსტიტუციას უწოდებენ, კიდევ უფრო გააძლიერებს ჩინელი ხალხის შემოქმედებითის ენერგიას, ახალ ძალებს შემატებს მას მთავარ ნებულ შრომაში.

მ. მარკოვი.

ჩეხოსლოვაკიის პრესა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

პრაღა, 2 აგვისტო. (საკდესი). მთელი ჩეხოსლოვაკიის პრესა ფართოდ აღნიშნავს მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას. გაზეთები ათავსებენ მოწონებულ და სარედაქციო სტატიებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო საბჭოთა სპეციალისტების სტატიებს, რომლებიც მიძღვნილია გამოფენისადმი.

მოწონებულ სტატიაში სათაურით: „მოწონებულ გამოცდილებისა და შემოქმედებითი ინიციატივის უმდიდრესი წყარო“ გაზეთი „ზემლედელსკე ნოვინი“ წერს:

საბჭოთა მიწათმოქმედებამ, რომელსაც საფუძვლად უდევს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე აგროტექნიკა, არაჩვეულებრივი წარმატებანი მოიპოვა.

გაზეთი რწმენას გამოთქვამს, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში შეიძენს ძვირფას გამოცდილებას, რომელიც საჭიროა ჩეხოსლოვაკიაში მაწათმოქმედების განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენათა მოწყობისათვის.

ბერლინის დემოკრატიული პრესა მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის შესახებ

ბერლინი, 2 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა ათავსებს ცნობებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, რომელიც მოსკოვში გაიხსნა.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ სათაურით „უდიდესი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მსოფლიოში“ გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ოტო ტრილიჩის სტატია, სადაც ავტორი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველთ, რომ გამოფენის ტერიტორიაზე შეიქმნა მრავალი პავილიონი და სხვა ნაგებობანი და რომ იქ წარმოდგენილია მრავალფეროვანი და შესანიშნავი ექსპონატები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მრეწველობის უდიდეს მიღწევებს.

დიდი ჩინელი ხალხის მძლავრი არმია

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 27-ე წლისთავი

პეკინი, 31 ივლისი. (საკდესი). ხვალ სრულდება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 27-ე წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ გამოაქვეყნა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის სუ იუის სტატია. 27 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ჩინელმა ხალხმა თავისი რევოლუციური შეიარაღებული ძალები შექმნა, აღნიშნავს ავტორი, სახალხო-განმათავისუფლებელი არმია მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობით მან მთელ ჩინელ ხალხთან ერთად დაძლია მრავალი სიძნელე, გაანადგურა შინაური და გარეშე მტრები, უზრუნველყო ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება. ახლა ჩვენ გვყავს არა მარტო მძლავრი სახმელეთო არმია და ტექნიკური ჯარები, არამედ მძლავრი ავიაცია და ფლოტიც. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დასაცავად, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, რათა ყოველთვის ვიყოთ მზად გავანადგუროთ ყოველგვარი მტერი, რომელიც გაბედავს და ხელყოფს ჩვენს წმიდათაწმიდა სამშობლოს.

ევროპის უშიშროების სისტემის შექმნისათვის

ვენა, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ იუწყება, კრებაზე, რომელიც ვენის მშვიდობის მომხრეთა საბჭომ მოიწვია, ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს წევრმა შოლმა განაცხადა, რომ ინდოჩინეთში დაზავების დადება ნიშნავს ამერიკის „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის დამარცხებას და ადასტურებს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მორალობის მოქმედების სისწორეს.

ახლა, თქვა შოლმა, საჭიროა გამოვიყენოთ ჟენევის მოლაპარაკების გამოცდილება სხვა სადავო პრობლემების, უწინარეს ყოვლისა გერმანიისა და ავსტრიის საკითხების გადასაჭრელად. ძალის პოლიტიკას, რომლის მთავარი გამოხატულებაა ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, უნდა დაუპირისპიროს სრულიად ევროპის უშიშროების სისტემა, რადგან მხოლოდ ამ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს ავსტრიის უშიშროება და დამოუკიდებლობა. ჟენევის თათბირის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ევროპის სახელმწიფოების მოლაპარაკების გზით. ჩვენ ახლა ახალი ძალით უნდა დავუჭიროთ მხარი ევროპის უშიშროების სისტემის შექმნას და ამით სახელმწიფო ხელშეკრულებას, ავსტრიის დამოუკიდებლობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

გაიხსნა სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს სესია

დელი, 31 ივლისი. (საკდესი). გუშინ კალკუტის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიხსნა სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს სესია. სესიის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ცნობილმა ინდოელმა მწერალმა მულკ რაჯ ანანდმა.

სესიამ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნერუს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც იწონებენ ხალხთა შორის ურთიერთობის პრინციპებს, ჩამოყალიბებულს მათს საერთო განცხადებაში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ეროვნული კონფერენცია

შანხაი, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის ინფორმაციის სააგენტო იუწყება, 20-25 ივლისს მიმდინარეობდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ეროვნული კონფერენცია, რომელზეც განხილულ იქნა ახალი ვითარება და ახალი ამოცანები, აგრეთვე რეზოლუციები, რომლებიც მიიღო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე გაფართოებულმა პლენუმმა.

კონფერენციაზე გამოსულმა პრეზიდენტმა ხო ში მინმა ანალიზი გაუკეთა თანამედროვე საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას და გამოაცხადა როგორც ლოზუნგი პარტიისა და მთელი ვიეტნამელი ხალხისათვის: „ებრძოლოთ მშვიდობის, ერთიანობის, დემოკრატიულობისა და დემოკრატიისათვის“.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალურმა მდივანმა ტრუონგ შინმა.

ხუთი დღის განხილვის მსვლელობაში კონფერენციის დელეგატები ერთსულოვნად მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ინდოჩინეთის ხალხთა, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების უდიდესი წარმატებაა.

იაპონიის საზოგადოებრიობა მოითხოვს გაფართოვდეს საქმიანი ურთიერთობა სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან

ტოკიო, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, ქალაქ ხაკოდატეში (ხოკაიდო) იმ შვიდი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვენ განვითარდეს ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთთან, შეიკრიბნენ ერთობლივ სხდომაზე და მოიწონეს ოთხი პუნქტისაგან შემდგარი რეზოლუციის პროექტი. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საჭიროა გაუქმდეს „კომუნისტურ ქვეყნებთან“ იაპონიის ვაჭრობის შეზღუდვები; გაიგზავნოს ამ ქვეყნებში ეკონომიური და ფინანსური წარმომადგენლები; დახმარება გაეწიოს სავაჭრო ფირმებს საბჭოთა კავშირთან საქონლის გაცვლის შეთანხმებათა დადებაში. მოეწყოს სრულიად იაპონიის მიტინგი რეზოლუციის მხარდასაჭერად.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ურუგვაის შეთანხმებას გადასახდელთა შესახებ

მონტევიდეო, 31 ივლისი. (საკდესი). მიმდინარე წლის 28 ივლისს ქალაქ მონტევიდეოში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და ურუგვაის რესპუბლიკის ბანკმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გადასახდელთა შესახებ.

ამავე დროს შეთანხმებულ იქნა საქონლის სიები ურთიერთ მიწოდებისათვის. სსრ კავშირი ურუგვაიში შეიტანს ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, დახერხილ ხე-ტყის მასალას, გაზეთის ქაღალდს, ქვანახშირს, ქიმიურ საქონელს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სამრეწველო მოწყობილობას და შავი მეტალურგიის პროდუქტებს. ურუგვაი სსრ კავშირში გაიტანს ხორცს, ხორცის კონსერვებს, მატყლს, ნედლ ტყავს.

შეთანხმება დადებულია ორი წლის ვადით და შეიძლება მისი გაგრძელება, თუ ორივე მხარე თანახმა იქნება.

ბელგიაში აგებულ საბჭოთა თბომავალზე ზეიმით აღმართეს აღამი

ბრიუსელი, 1 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბელგიაში ქალაქ ტამბოის (აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინცია) გემთსაშენში ზეიმით აღმართეს „ალამი ახალ თბომავალ „ნიკოლოზ ნეკრასოვზე“, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის ააგო გემთმშენებელმა ფირმამ „ბოელმა“.

ალმის აღმართვას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ვ. ი. როდნოვი, ფირმის წარმომადგენლები და გემთმშენებლები. ფირმის დირექტორმა ვან ბრილმა და სსრ კავშირის ელჩმა ავილოვმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

დღეს საბჭოთა კავშირის მიერ ბელგიაში შესყიდული საქონლით დატვირთული თბომავალი „ნიკოლოზ ნეკრასოვი“ თავისი პირველი რეისით მიემართება საბჭოთა ნავსადგურში.

საავაჭრო გემების მშენებლობა ჰოლანდიაში საბჭოთა კავშირისათვის

ჰააგა, 1 აგვისტო. (საკდესი). 31 ივლისს ამსტერდამში წყალში ჩაუშვეს რეფრიჟერატორული გემი „სეტლოგორსკი“ — ამ ტიპის პირველი გემი 5 გემიდან, რომლებსაც ჰოლანდიური ფირმა „ვერსჰიორი“ აშენებს საბჭოთა კავშირისათვის. ამავე დროს დაიწყო მეორე გემის მშენებლობა.

ჯოუ ენ-ლაი პეკინს დაბრუნდა

პეკინი, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის მეთაურობით პეკინს დაბრუნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჟენევის თათბირის მუშაობაში. ჟენევიდან პეკინს დაბრუნებისას დელეგაციამ ინახულა ბერლინი, ვარშავა, მოსკოვი და ულანბატორი.

ამერიკის შეერთებული შტატები აძლევენ შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, 27 ივლისს, იმ დღეს, როცა შესრულდა კორეაში დაზავების დამყარების პირველი წლისთავი, ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები ოთხჯერ შეიჭრნენ იმ ტერიტორიის საჰაერო საზღვრებში, რომელსაც კონტროლს უწევს კორეა-ჩინეთის მხარე, და ამით დაარღვიეს შეთანხმება დაზავების შესახებ.

მენდეს-ფრანსი ჟენისს გაემგზავრა

პარიზი, 31 ივლისი. (საკდესი). დღეს ტუნისს ჩავიდა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მენდეს-ფრანსი, რომელსაც ახლდნენ მაროკოსა და ტუნისის საქმეთა მინისტრი კრისტიან ფუშე და მარშალი ჟიუენი. ამ გამგზავრების მიზანი შეატყობინონ ბეის რეფორმათა გეგმა, რომელიც ჟენევ საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა.

მენდეს-ფრანსმა ჩასვლისთანავე ინახულა ბეი და გადასცა მას განცხადება, სადაც ჩამოყალიბებულია რეფორმების საფრანგეთის გეგმის არსი.

სინგაპურის გაფიცული მუშების გამარჯვება

პარიზი, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სინგაპურიდან იუწყება, სინგაპურის კომუნალურ საწარმოთა 10 ათასი მუშის გაფიცვა, რაც 12 დღეს გრძელდებოდა, გუშინ დამთავრდა გაფიცულთა გამარჯვებით. ადმინისტრაცია დათანხმდა გადაუხადოს მუშებს განსხვავება ხელფასის ძველსა და ახალ განაკვეთებს შორის უკანასკნელი 8½ თვის განმავლობაში.

სტიქიური უბედურება ინდოეთში

პარიზი, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, პატნიდან მიღებული ცნობების თანახმად, ბიჰარის შტატის ტერიტორიის 6.000 კვადრატულ მილზე მეტი დაფარულია წყლით. როგორც ცნობილი გახდა, დაიღუპა 12 კაცი, 250 ათასი გლეხი უმიწოდ დარჩა. წყალმა წალეკა 5.000 სახლი, საკომუნიკაციო ხაზები გამოყვანილია მწყობრიდან.

წყალდიდობა ირანში

თეირანი, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო გადმოგვცემს, 30 ივლისს ღამით ფირუზკუხის, კერეჯის, დემავენდის რაიონებში მოვიდა ძლიერი წვიმა, რომელმაც დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია. არის ადამიანთა მსხვერპლი. ბევრი დასახლებული პუნქტი ამ რაიონებში მთლად დაინგრა, ბაღები და ნათესები მოისპო. დაიღუპა ბევრი პირუტყვი. ნიაღვრის შედეგად მთებში ზვავები ჩამოწვა, დანგრეულია ხიდები და გზატკეცილების მთელი უბნები.

პარიზი, 1 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ 30 ივლისს ღამით თეირანის ჩრდილო-დასავლეთით 150 კილომეტრზე მდებარე რუდბარის მთებში ერთ-ერთი მთის მდინარის აღიდების შედეგად დაიღუპა 250 კაცი, ხოლო 300 კაცი დაიჭრა. დაინგრა 200 სახლი.

მთელ რაიონში ქარიშხლიანი წვიმების შედეგად განვითარდა წყალდიდობის სხვა ზონები.

გაიხსნა სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობა

გუდლაპეშტი, 1 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ სახალხო სტადიონზე ზეიმით გაიხსნა სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობა. 4 საათზე ადგილობრივი დროით სტადიონზე გამოდიან უნგრელ ბავშვთა კოლონები. მათ შემდეგ უნგრეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს შეშოკავთ ცისფერი დროშა და სტუდენტთა XII მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობის ნიშნის მაკეტი.

სტადიონზე ზედიზედ გამოდიან 33 ქვეყნის სპორტსმენ სტუდენტთა დელეგაციები. სტადიონზე იყვნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიისა და უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი ირეი პელიკანი კავშირში გაერთიანებული 6 მილიონი სტუდენტის სახელით მიესალმა ასპარეზობის მონაწილეებსა და ყველა შეკრებილს და მადლობა გადაუხადა უნგრელ სპორტსმენ სტუდენტებსა და უნგრეთის მთავრობას გულითადი მიღებისათვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობმ ასპარეზობა რომ გახსნა, რწმენა გამოთქვა, რომ ასპარეზობა ხელს შეუწყობს ყველა ქვეყნის სტუდენტთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

შემდეგ გაიმართა ასპარეზობის მონაწილეთა პარადი. პარადის შემდეგ სტადიონის მწვანე მინდორზე გამოვიდა ლამპრი უნგრული ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი 400 მოცეკვავე. საზოგადოების ტაშის გრიალში მათ შეასრულეს სხვადასხვა ეროვნული ცეკვა. გამოსვლები დამთავრდა უნგრეთისა და შოტლანდიის სტუდენტ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრით. მოიგო უნგრეთის გუნდმა ანგარიშით 3:0.

სტუდენტთა ასპარეზობა 8 აგვისტომდე გასტანს.

კარგი ინიციატივა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივმა (თავარი ექიმი ო. კვირკველია) კარგი ინიციატივა გამოიჩინა. მან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის აღების მთელ პერიოდში კოლმეურნეებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „განთიადში“, რომელშიც გაერთიანებული არიან სოფლების გიორგიწმინდის, ანთოკისა და მარიამჯვრის მშრომელები, გახსნა სეზონური ბაგა-ბაღი. საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ ადგილზე ჩაიტანა მთელი საჭირო ინვენტარი და სამედიცინო მოწყობილობა. ბავშვებზე ყოველდღიური სამედიცინო მეთვალყურეობისათვის საავადმყოფოს კოლმეურნეობაში მუდმივად ჰყავს ექიმის თანაშემწე.

კოლმეურნეები საავადმყოფოს ამ კარგ ინიციატივას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ქეთევან გოდერძიშვილი) სამაგვარო ბაგა-ბაღს ახლად აგებულ შენობაში ფართო ნათელი ოთახები დაუთმო.

ბავშვთა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ ადგილზე ბავშვთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად გამოჰყო საექთნო ბრიგადა, რომელშიც შედიან პროფესორი ვ. თოხაძე, საავადმყოფოს მთავარი ექიმი ო. კვირკველია, ტუბერკულოზურ-მენინგიტური განყოფილების გამგე რ. ლაბაძე, ნევროპათოლოგი ქ. ედიგარაშვილი, თვალის ექიმი ლ. სოკოლი, ლოგოპედი ტ. უგუნავა, კანის ექიმი ა. კობახიძე. ექიმთა ბრიგადა კვირაში ერთხელ დადის კოლეიურნეობაში და აწარმოებს ბავშვთა კომპლექსურ გამოკვლევას. იმ ბავშვებს, რომლებსაც რაიმე დაავადება აღმოაჩნდებათ, სათანადო მკურნალობას უწევენ ადგილზე, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სტაციონარული მკურნალობა, ექიმთა ბრიგადას თავისი ტრანსპორტით ბავშვები ჩამოჰყავს თბილისში და ათავსებს საავადმყოფოში. ამას წინათ რამდენიმე გაჯანსაღებული ბავშვი საავადმყოფომ თავისი მანქანით კოლმეურნეებს შინ მიუყვანა.

ადგილზე ბავშვთა ჯანმრთელობის შემოწმების დროს კოლმეურნე ვარო მღვდელაძემ თავისი პატარა დოდო საექიმო ბრიგადას მიუყვანა შესამოწმებლად და განაცხადა:

— მთელი ხამი სოფელი თქვენს კარგ საქმეზე ლაპარაკობს, ბევრ მძიმე ავადმყოფ ბავშვს დაუბრუნეთ ჯანმრთელობა. მეც მოგმართავთ და გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩემს ბავშვს.

საექიმო ბრიგადამ ამ ბავშვის ჯანმრთელობა ყოველმხრივ გამოიკვლია. მას მკვეთრი სისხლნაკლებობა აღმოაჩნდა. ექიმებმა ბავშვი იმავე დღეს თან წამოიყვანეს და საავადმყოფოში მოათავსეს. სათანადო მკურნალობის შემდეგ პატარა დოდო სრულიად გამოჯანმრთელდა.

იმ ბავშვებს, რომლებსაც სტაციონარული მკურნალობის შემდეგ სჭირდებათ საკურორტო-სანატორიული მკურნალობა, საავადმყოფო თავისი საგზურებით გზავნის სამკურნალოდ. მაგალითად, გ. ლალიაშვილის ბავშვს დიმიტრის სანატორიული მკურნალობისათვის ამ დღეებში წყალტუბოში გაგზავნიან.

საექიმო ბრიგადა მოსახლეობას კონსულტაციას უწევს, კითხულობს ლექციებს ბავშვთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. მაგალითად, პროფესორმა ვ. თოხაძემ კოლმეურნე ქალებთან გამართა ლექცია-საუბარი „ბავშვთა რაციონალური კვების შესახებ“.

* * *

სურათებზე: 1. პროფესორი ვ. თოხაძე (მარჯვნივ) და საავადმყოფოს მთავარი ექიმი ო. კვირკველია (მარცხნივ) ამოწმებენ კოლმეურნე ვ. ჭიაბერაშვილის ბავშვის ჯანმრთელობას. 2. ბავშვები დასვენების დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გათუ კრავეიშვილის კონცერტი

ქლუხორი. (*„კომუნისტის“ კორ.*). საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა ბ. კრავეიშვილმა საქართველოს სსრ ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადასთან ერთად ქლუხორის რაიონში გამართა რამდენიმე კონცერტი.

კონცერტი გაიმართა ქალაქ ქლუხორში. ამ კონცერტს დაესწრნენ სოფელ ახალშენის და ბარის კოლმეურნეები.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა კონცერტს მაღნისხევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. გარდა მაღნისხევლებისა, კონცერტს დასწრნენ სოფელ ზედაკის მალეწკოვის სახელობისა და სოფელ მთისძირის ყდაწოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, 500-ზე მეტი კაცი. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბ. კრავეიშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

კარგი იქნება, თუ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია სისტემატიურად მოემსახურება ქლუხორის რაიონს, უპირველეს ყოვლისა ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებს და მეცხოველეობის ფერმებს, რომლებიც აქ ჩამოსული არიან დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან. რაიონის შოსახლეობის თხოვნაა ქლუხორში ჩამოვიდნენ ა. კვანტალიანი, ა. ეოროფოლიანი, ა. გომელაური და სხვები.

იზრდება სამომხმარებლო კოოპერაციის ძალი

ყოველწლიურად იზრდება ასიგნობანი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ობიექტების კაპიტალური მშენებლობისათვის. წელს ამ მიზნით ცეკავშირმა უნდა დახარჯოს 16 მილიონი მანეთი, რაც ბევრად აღემატება შარშანდელ თანხას.

მთელი რიგი მაღაზიები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და სხვ. უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ. მაგალითად, სოფელ ერკეთში (ჩოხატაურის რაიონი), მოლითში (ორჯონიკიძის რაიონი), ჯაფარიძეში (წითელწყაროს რაიონი) და გუბაში (წულუკიძის რაიონი) გახსნილია კარგად მოწყობილი სოფლის მაღაზიები. დამთავრდა მშენებლობა აფხაზოოპკავშირის დიდი სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზისა, რომელიც ერთდროულად 22 სატვირთო ვაგონ სხვადასხვა საქონელს იტევს. სამრეწველო საქონლის საწყობი აშენებულია დუშეთის რაიონის სოფელ ერინვალში.

მწყობრში ჩადგა ცეკავშირის ახალი პურსაცხობები გარდაბნის, ქარელის, ლაგოდეხისა და წალენჯიხის რაიონულ ცენტრებში.

კურორტ მახინჯაურში, შავი ზღვის პირას, გაიხსნა ახალი ორსართულიანი სასადილო-პავილიონი. სასადილო-პავილიონები ამ დღეებში გაიხსნა თამიშის და აგარაკის (ოჩამჩირის რაიონი) კურორტებზე.

სულ წელს ცეკავშირმა სოფელ ადგილებში უნდა გახსნას 90 რაიონული და სასოფლო მაღაზია, საწყობი, ნავთის გასაყიდი წერტილი, სასადილო, პურსაცხობი.

დაიწყო სახელმძღვანელოების გაყიდვა

1 აგვისტოს რესპუბლიკაში დაიწყო საშუალო სკოლების სასწავლო სახელმძღვანელოების გაყიდვა. „საყმწიგნისა“ და ცეკავშირის საავაჭრო ქსელს მიღებული აქვს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სამი მილიონი ეგზემპლარი სხვადასხვა სახელმძღვანელი.

წელს სავაჭრო ქსელში გაიყიდება 800.000 ცალით მეტი სახელმძღვანელო, ვიდრე გასულ წელს. სახელმძღვანელოების გაყიდვა იწარმოებს სკოლებთანაც, სპეციალურ კიოსკებში.

სპორტის ამგეგი

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გამარჯვება

ლვოვი, 2 აგვისტო. აქ დამთავრდა შეჯიბრება კალათბურთში სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს 1954 წლის პირველობაზე.

31 ივლისს თბილისის დინამოელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს — მოუგეს ლენინგრადის გუნდს ანგარიშით 71:59.

დიდი ინტერესი გამოიწვია უკანასკნელმა შეხვედრებმა, რომლებიც 1 აგვისტოს გაიმართა. ჩემპიონის გამოსავლენებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა კოლექტივების თამაშს. ეს საინტერესო ბრძოლაც თბილისელებმა მოიგეს.

ამრიგად, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მიიგო ყველა შეხვედრა და სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ 1954 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

სსრ კავშირის XVI ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. ახლა ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორა მარტო ლიდერებისათვის, არამედ იმ გუნდებისთვისაც, რომლებსაც „ა“-დან „ბ“ კლასში გადასვლა ემუქრება.

ავსტრიიდან დაბრუნების შემდეგ მოსკოვის დინამელებმა განაახლეს თამაში სსრ კავშირის პირველობაზე. 1 აგვისტოს ისინი შეხვდნენ გორკის „ტორპედოს“. ასპარეზობა დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 6:2.

ამრიგად, დედაქალაქის დინამოელები, რომლებსაც 19 თამაშიდან შეგროვებული აქვთ 27 ქულა, მტკიცედ განაგრძობენ ლიდერობას. მეორე ადგილზეა მინსკის „სპარტაკი“ (20 თამაშიდან 25 ქულა), მესამეზე — მოსკოვის „სპარტაკი“ (18 თამაშიდან 24 ქულა).

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს

ესაჭიროება შემდეგი პროფესიების მუშები: მრთველები, ნართის მომზსნელები, მგრეხავები, მხვეველები, აგრეთვე დამხმარე მუშები მშენებლობაზე.

მოწაფეები ზემოაღნიშნულ პროფესიებზე მიიღებენ სტიპენდიას 260 მანეთს. მსურველები უნდა გამოცხადდნენ კომბინატის კადრების განყოფილებაში დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, ღრმაღელე, ტრიკოტაჟის ქ. № 3. ტრამვაი 11, 12, 6.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ჟუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1954 წლისათვის ასპირანტურაში განცხადებების მიღების ვადა გაგრძელებულია 30 სექტემბრამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე.

მიღების პირობები იხილეთ გაზეთ „კომუნისტის“ 1954 წლის 21 ივლისის ნომერში.

მოქალაქე **მიხეილ ივანეს-ძე ქურდაძემ**, მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 77, აღძრა საქმე მაიაკოვსკის ქ. № 7 მცხოვრებ **თინა ლეონტის ასული ქურდაძე-კოპაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **რაფიელ მიხეილის-ძე დავიდოვმა**, მცხოვრებმა კრემატორიუმის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ანა ალექსანდრეს ასულ დავიდოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

ვილი ლოლა, სიძე სეფე დვალი, რძლები ვალდა, ციალა, შვილიშვილები ქორა, ოთარ, ვერა მეუღლეთ დავით ჭელიძე იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე ჭოხონელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VIII სოფ. ტბეთში (ამბროლაურის რ.).

თბილისის გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან **ვლადიმერ ილარიონის-ძე ბუაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მიხეილ, შვილები მარგო, თამარ, ვენერა, ნათელა, ნინო, სიძეები არჩილ საგინაშვილი, გიორგი ვაჩნაძე, ოთარ ყიფიანი შვილებით იუწყებიან მასწავლებელ **ელენე იუსტინეს ასულ მამფორია-საკანდელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-VIII, 8 ს. გამოსვენება 5-VIII, 6 ს. დოლიძის ქ. № 45.

ბებია მატრონა, შალვა, ელენე, ოლია, ციალა ჯანელიძეები, გრიგოლ ლომინაძე, ვლადიმერ ნემსაძე, თამარ მესხი შვილებით, სიძეები და შვილიშვილები იუწყებიან **მოსე ლავრენტის-ძე ჯანელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VIII ქუთაისში, კიროვის ქ. № 120.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **დიმიტრი სიოსის-ძე სვანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-VIII, 6 ს. ალ. ჭავჭავაძის ქ. № 20.

მეუღლე იუსტინე, შვილი ქეთევან კობალავები, შვილი ნინო, სიძე ნიკოლოზ შარაშენიძეები ოჯახებით იუწყებიან **ლუკა გიორგის-ძე კობალავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VIII, სოფ. ბოხვაურში (ბახარაძის რ.).

შვილები გრიგოლ, შალვა, აკაკი, დონიკა, ლუბა, ვერა, ელენე, რძლები ელენე, თამარ, ეენა, შვილიშვილები იუწყებიან **ნესტორ გიორგის-ძე წიწილაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VIII თუზში (ოერჯოლის რ.).

მეუღლე მარგალიტა, შვილები გულნარა, ნათელა, ნუნუ, ძმები ვალერიან, ვახტანგ, მამია, კოლია, და ნატაშა ჯორბენაძეები, სიმპარი ექვთიმე, ცოლისძმა გოგია, რძალი ქეთო იაკობაშვილები იუწყებიან **იროდიონ მასიკოს-ძე ჯორბენაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-VIII, 8 ს. გამოსვენება 5-VIII, 6 ს. ბრძოლის ქ. № 122.